14/06/2013

უფასო იურიდიული დახმარება სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლში ამოქმედდა იურიდიული დახმარების ცენტრი, რომელიც სოციალურად დაუცველ, ღარიბ მოქალაქეებს გაუწევს უფასო სამართლებრივ დახმარებას. პროექტს ახორციელებენ ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციები - ადამიანის უფლებათა ცენტრი და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“.

პროექტის ფარგლებში, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, ხუთი იურისტი სამართლებრივ მომსახურებას გაუწევს მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ფენას: სოციალურად დაუცველ პირებს, დევნილებს, უნარშეზღუდულ ადამიანებს, პენსიონერებს, პატიმრებს და სხვა დახურულ ინსტიტუციებში მყოფ ადამიანებს. მიმდინარე საქმეები გასაჩივრდება სასამართლო ინსტანციის ყველა დონეზე.

ბენეფიციარებისთვის, პროექტის ფარგლებში, გაიმართება რამდენიმე ღია კარის დღე. მოქალაქეებს მიეწოდებათ ინფორმაცია თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებზე, გადაეცემათ პუბლიკაციები სხვადასხვა იურიდიულ საკითხებსა და ადამიანის უფლებებზე.

იმ საქმეების თაობაზე, რომელთაც ექნებათ დიდი საჯარო ინტერესი, თემის აქტუალობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის იურიდიული დახმარების ცენტრი გამართავს პრესკონფერენციებს. თემები გაშუქდება ტელევიზიით, ასევე - საინფორმაციო სააგენტოებსა და ბეჭდურ მედიაში.

პროექტის ფარგლებში, ასევე, ამოქმედდება იურიდიული განათლების ცენტრი სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. სტუდენტებს დამატებით ჩაუტარდებათ მასტერკლასები.

აღნიშნულ პროექტში მონაწილე ორგანიზაციებს აქვთ თავიანთი ვებ-საიტები: www.humanrights.ge; www.hridc.tv; www.article42.ge , სადაც პროექტთან დაკავშირებული ყველა მიმდინარე სიახლე და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებები განთავსდება.

პროექტის ხანგრძლივობა 12 თვეა. მოქმედებს ცხელი ხაზი - სისხლის სამართლის საკითხებზე: 2 14 80 94; სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საკითხებზე: 2 18 04 71.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის შესახებ

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციები არიან: ადამიანის უფლებათა ცენტრი; წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი; კონსტიტუციის 42-ე მუხლი; კავშირი საფარი; ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრი - კავკასია; მედიის ინსტიტუტი.

GCRT The Georgian Center for Psychosocial and Medical Rehabilitation of Torture Victims
Sapari / Saqsahn

მისამართი: საქართველო, თბილისი 0160 მელიტონ ქანთარიას 11ა. ტელ.: (+995 790) 76 06 90, (+995 32) 230 77 66;
ელ–ფოსტა: tbilisi@humanrightshouse.org, ვებ–გვერდი: www.HumanRightsHouse.org
Address: 11a Meliton Kantaria st. 0160 Tbilisi, Georgia. Tel.: (+995 790) 76 06 90, (+995 32) 230 77 66;
E-mail: tbilisi@humanrightshouse.org, Web: www.HumanRightsHouse.org